



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

№1, 2016



მიმდინარე კონკურსები

2016 წლის 24 თებერვალს გამოცხადდა კონკურსი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2016 - 2017 წლის წარმოების დაფინანსების მიზნით. (საკონკურსო ფონდი 1 000 000 ლარი), პროექტების შემოტანის ვადა ამოიწურა 2016 წლის 4 აპრილს.



მიმდინარე პროექტები

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეზობლები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტიზმი“, რეჟისორი - გრიგოლ აბაშიძე).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „Polare Film“, რეჟისორები - ნანა ექვთიმიშვილი, სიმონ გროს).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიზულა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ალამდარი“, რეჟისორი - გიორგი ოვაშვილი).
- პოსტპროდუქციის პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დედე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „20 Steps productions“, რეჟისორი - მარიამ ხაჭვანი).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აღლუმი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს ახალი ქართული ფილმი“, რეჟისორი - ნინო ჟვანია).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეტამორფოზა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „მილიმეტრი“, რეჟისორი - დიმიტრი მამულია).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტეფაქტ პროდაქშენი“, რეჟისორი - ნინო ორჯონიკიძე, ივანე არსენიშვილი).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ქალები რომლებიც ცურავენ“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ჯემინი“, რეჟისორი - ანა ბუკია).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „პიონერთა სასახლე“ (საპროდიუსერო კომპანია - აიიპ „Matchhouse Film“, რეჟისორი - ანა ციმინტია)

“დედე”





“მეთევზე და გოგონა”



“ზიზულა”

- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ვსაუბრობთ ფულზე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ზაზარ ფილმი“, რეჟისორი - სებასტიან ვინკელსი, ზაზა რუსაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია ერთობლივი ქართულ-უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მძევლები“ (საპროდიუსერო კომპანია - 20 შპს „20 Steps Productions“, რეჟისორი - რევაზ გიგინეიშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანდრო“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“, რეჟისორი - თორნიკე გოგრიჭიანი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნიკო“ (პროდიუსერი - შპს „რეფრემ სტუდია“, რეჟისორი - გიგა ბაინდურაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანა“ (პროდიუსერი - შპს „ფოკუს პროდაქშენს“, რეჟისორი - მარგალიტა ზუბაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მეთევზე და გოგონა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს 20 Steps Productions, რეჟისორი - მამუკა ტყეშელაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ელიენ ქინდ“, რეჟისორი - ვალ ხარიტონაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მზის ქალაქი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ონელი ფილმ ასოციაცია“, რეჟისორი - რატი ჯეზაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „პური და სანახაობა“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი - ზურაბ ინაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მოუსმინე სიჩუმეს“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „ოპიოდოკი“, რეჟისორი - მარიამ ჭაჭია).

- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მისტერ ჯონსონ“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - თამარ მშვენიერაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორნი“ (საპროდიუსერო კომპანია - საქ. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი-ნათია გოგალაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ - ბულგარული პროექტი „ურსუს“-ი (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდიო ო“, რეჟისორი - ოთარ შამათავა).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ჯინო“ (საპროდიუსერო კომპანია - შსგ „ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი - დათო კიკნაველიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (საპროდიუსერო კომპანია - ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე).



„ურსუსი“



„ჯინო“


- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ნივთები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „CINEMARKK“, რეჟისორი - ნინო გოგუა).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „დაისის მიზიდულობა“ (საპროდიუსერო კომპანია - აიპ „საქდოკ ფილმი“, რეჟისორი - სალომე ჯაში).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „დევნილი გემი ენგური“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ნალი“, რეჟისორი - ვახტანგ ვარაზი).
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანას მოლოდინი“ (სამუშაო სახელწოდება „უცხო“) (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტიზმი“, რეჟისორი - გიორგი მუხაძე).

- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - ალექსანდრე კვატაშიძე).
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ფრანი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი „გიორგი ვასაძე“, რეჟისორ/ანიმატორი - ვლადიმერ სულაქველიძე);
- განვითარების პერიოდშია კომედიური ჟანრის და საბავშვო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების პროექტი „სიზმარვიზია“ (პროდიუსერი - ფ/პირი თამარ სხვიტარიძე, სცენარის ავტორი - პაატა ამონაშვილი).
- დასრულდა კომედიური ჟანრის და საბავშვო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების პროექტი „გაუმარჯოს“ (პროდიუსერი - შპს „ვარს სტუდო“, სცენარის ავტორი - გიორგი ვარსიმაშვილი).
- დასრულდა კომედიური ჟანრის და საბავშვო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების პროექტი „გაცხადებული სიზმარი“ (პროდიუსერი - აიპ „საავტორო ფილმების სტუდია“, სცენარის ავტორი - ზურაბ ინაშვილი).
- განვითარების პერიოდშია კომედიური ჟანრის და საბავშვო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების პროექტი „კოსტას კანტორა“ (პროდიუსერი - შპს „სტუდიო 99, სცენარის ავტორები - ნანა ჯორჯაძე, თამარ ბართაია).
- განვითარების პერიოდშია კომედიური ჟანრის და საბავშვო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების პროექტი „რაგბი ლელო“ (პროდიუსერი - აიპ „პილოტები“, სცენარის ავტორები - დავით ქემხაძე, თამარ სულამანიძე).
- განვითარების პერიოდშია კომედიური ჟანრის და საბავშვო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების პროექტი „როგორ გაჩნდნენ ციციანათელები“ (საპროდიუსერო კომპანია- შპს „5 პერსონს სტუდიო“, სცენარის ავტორი - სალომე ბენიძე).

„ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“



„ფრანი“



- განვითარების პერიოდშია კრეატიული დოკუმენტური ფილმის პროექტი „სანამ მამა დაბრუნდება“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „მდი ფილმი“, რეჟისორი და სცენარის ავტორი - მარი გულბიანი).
- განვითარების პერიოდშია კრეატიული დოკუმენტური ფილმის პროექტი „ტერორისტი“ (პროდიუსერი - შპს „ვიზუალური ხელოვნების ცენტრი“, რეჟისორი და სცენარის ავტორი - ირაკლი მახარაძე).
- განვითარების პერიოდშია კრეატიული დოკუმენტური ფილმის პროექტი „ორი სამყარო“ (პროდიუსერი - შპს „ევროპული ბიზნეს ცენტრი“, რეჟისორი - შალვა შენგელი სცენარის ავტორი - ნინო ჩუტკერაშვილი).
- განვითარების პერიოდშია კრეატიული დოკუმენტური ფილმის პროექტი „რინგი“ (პროდიუსერი - შპს „რეალ ი-თი ფილმსი“, რეჟისორი და სცენარის ავტორი - შორენა თევზაძე).
- განვითარების პერიოდშია კრეატიული დოკუმენტური ფილმის პროექტი „ქალაქი PSU“ (პროდიუსერი - შპს „ბისსტუდია“, რეჟისორი და სცენარის ავტორი - ბესო სოლომანაშვილი).
- განვითარების პერიოდშია კრეატიული დოკუმენტური ფილმის პროექტი „უხილავი დინებები“ (პროდიუსერი - შპს „ინტერდოკი“, რეჟისორი და სცენარის ავტორი - თამთა ხალვაში).
- განვითარების პერიოდშია კრეატიული დოკუმენტური ფილმის პროექტი „ზედმეტი ადამიანები“ (პროდიუსერი - შპს „ჭიაურელი ბრაზერს არტ სტუდიო“, რეჟისორი და სცენარის ავტორი - ანდრო ჭიაურელი).
- განვითარების პერიოდშია კრეატიული დოკუმენტური ფილმის პროექტი „თაობა“ (პროდიუსერი - ი/მ ნინო ქოიავა შარაშენიძე, რეჟისორი - თათია ახლაშენაშვილი, სცენარის ავტორი - ანუკი ბურდული).
- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „ბალიაური“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია - 99“, სცენარის ავტორები - ვაჟა გიგაშვილი, დავით ჯანელიძე).
- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „ქაქუცა“ (პროდიუსერი - შპს „შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება „ლირა ფროდაქშენი“ სცენარის ავტორი - მიხო მოსულიშვილი).
- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „მეფე“ (პროდიუსერი - შპს „ნალი“, სცენარის ავტორი - ირაკლი სოლომანაშვილი).
- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „წვიმა ორ ნაპირზე“ (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების დამოუკიდებელი სტუდია“, სცენარის ავტორი - ზაზა ხალვაში).

- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „გაბრაზებული პარფიუმერი“ (პროდიუსერი - შპს „ბისტუდო“, სცენარის ავტორები - ბესიკ სოლომანაშვილი, რუსუდან შარაძე).
- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „ქვეყნის მტერი“ (პროდიუსერი - შპს „ვარს-სტუდია“, სცენარის ავტორი - გიორგი ვარსიმაშვილი).
- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „ერგეაშვა“ (პროდიუსერი - შპს „აბკ სტუდია“, სცენარის ავტორი - დავით ქვარცხავა).
- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „შავი მერცხლის ფრენა“ (პროდიუსერი - შპს „კავკასიური ფილმოდრომი“, სცენარის ავტორი - გივი (ბესო) ოდიშარია).
- განვითარების პერიოდშია 21-ე საუკუნეში შექმნილი და გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ასინქრონი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ნიკე სტუდო“, სცენარის ავტორი - ეკატერინე ტოგონიძე).
- განვითარების პერიოდშია 21-ე საუკუნეში შექმნილი და გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „უღელტეხილი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ალამდარი“ სცენარის ავტორი - გურამ ოდიშარია).
- განვითარების პერიოდშია 21-ე საუკუნეში შექმნილი და გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „დიდი ძუ დათვი“ (საპროდიუსერო კომპანია - შსგ „ლირა ფროდაქშენი“, სცენარის ავტორი - მიხეილ მოსულიშვილი).
- განვითარების პერიოდშია 21-ე საუკუნეში შექმნილი და გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „მოქალაქე წმინდანი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტიზმი“, სცენარის ავტორები - გია ალავიძე, თინათინ ყაჯრიშვილი).
- განვითარების პერიოდშია 21-ე საუკუნეში შექმნილი და გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „კავკასიური ფოქსტროტი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „თეიქს ფილმი“, სცენარის ავტორები - ირაკლი შავლიაშვილი, ზურაბ ქარუმიძე).

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კინოინდუსტრიის წახალისების ახალი კომპონენტის პრეზენტაცია გამართა

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ კიდევ ერთი, ახალი, კინოინდუსტრიის წახალისების კომპონენტი დაემატა. ახალი პროგრამა საზოგადოებას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა გააცნო.

კინოინდუსტრიის წახალისების კომპონენტის შექმნაზე ეროვნული კინოცენტრი წლების მანძილზე მუშაობდა. საბოლოოდ, პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობის და მათი მხარდაჭერის შედეგად შეიქმნა.

ახალი სახელმწიფო ინიციატივის ფარგლებში ინერგება ე.წ. Cash Rebate მექანიზმი, რომელიც კინოწარმოებით დაინტერესებულ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროდიუსერებს შესაძლებლობას მისცემს გადაიღონ ფილმი და კვალიფიციური ხარჯების 25%-მდე უკან დაიბრუნონ. პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ მიზანია, საქართველო აღმოსავლეთ ევროპაში მიმზიდველ გადასახდებ ცენტრად იქცეს. შესაბამისად, ახალი კომპონენტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს პოპულარიზაციას ხელსაყრელი გადასახდები ლოკაციებისა და უცხოელი კინომწარმოებლების მოზიდვის კუთხით.

ახალი პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება და პროგრამაში ჩასართავად საჭირო აპლიკაციის ფორმის მოძიება შესაძლებელია ვებგვერდზე: www.filminggeorgia.ge



ამერიკული სერიალი შესაძლოა პირველი პროექტი აღმოჩნდეს, რომელიც (CASH REBATE-ის) ნაღდი ფულის უკან დაბრუნების სისტემით ისარგებლებს

ამერიკული სერიალი „მარისა რომანოვი“ შესაძლოა პირველი პროექტი აღმოჩნდეს, რომელიც Cash Rebate-ის ნაღდი ფულის უკან დაბრუნების სისტემით ისარგებლებს.

ამერიკელმა კინომწარმოებლებმა უკვე დაადასტურეს, რომ სერიალს საქართველოში გადაიღებენ და რომ მათ უკვე წარმატებით გაიარეს Cash Rebate-ის პროგრამის რეგისტრაცია.

„მარისა რომანოვი“ ამავე სახელის მქონე მოკლემეტრაჟიან ფილმს ეფუძნება (2001), რომელიც ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების სექციისთვის იყო შერჩეული.

სერიალს Noirtainment Film and Television Production Company აწარმოებს. იგი ამერიკელი ჟურნალისტის ისტორიას მოგვითხრობს, რომელიც საქართველოში თავის ფესვებს ეძებს.

საქართველო ბერლინის 66-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე

ეროვნული კინოცენტრი ბერლინის 66-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში ორგანიზებულ ევროპული კინოს ბაზრობაზე (EFM) 2016 წელს მეთერთმეტედ წარდგა.

საქართველოს სტენდზე მუშაობდნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - ნანა ჯანელიძე, მისი მოადგილე - მაია ჭილაშვილი, დისტრიბუციის და ექსპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - დავით ვაშაძე და პროექტების მენეჯერი - ნინო შერვაშიძე.

კინოცენტრის გუნდმა გამართა არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა ისეთი ფესტივალების წარმომადგენლებთან, როგორებიცაა:



მხატვრული ფილმების ფესტივალები

- კანი
- ვენეცია
- ტორონტო
- კარლოვი ვარი
- სან-სეზასტიანი

ასევე ახალი ქართული ფილმებით დაინტერესებულია სოფიას და კოტბუსის ფესტივალები. ანსის ანიმაციური ფილმების ფესტივალი კი ელოდება ახალ ანიმაციურ ფილმებს საქართველოდან.

დოკუმენტური ფილმების ფესტივალები

- იდფა
- ჰოტ-დოკი
- იჰლავა
- ნიონი
- დოკ-ლაიფციგი

ინდუსტრიული სექციების მიმართულებით დაინტერესებულია შემდეგი კინოფესტივალები:

სოფიას კინოფესტივალი - Sofia Meetings

ფესტივალის სექციისთვის Sofia Meetings შეირჩა დეა კულუმბეგაშვილის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი “დაისი”, რომელმაც ფესტივალზე საუკეთესო პროექტისთვის მთავარი პრიზის და 50 000 ევროს მოპოვება შეძლო.

ნიონის დოკუმენტური ფილმების ინდუსტრიული პლატფორმა, სადაც წელს 2 ქართული პროექტი მონაწილეობს: შორენა თევზაძის “დიდუბე, ბოლო გაჩერება” (Rough cut lab) და ცირა გვასალიას “ოთახები” (DOC Outlook International Market).

სტამბულის კინოფესტივალის ფარგლებში გამართული ინდუსტრიული სექცია Meeting on The Bridge - კოპროდუქციისა და ნეთვორქინგის მარკეტი, სადაც წელს თამთა გაბრიჩიძე გაემგზავრება



პროექტით “შავი ბალდახინი” (MAYA)

წელს კარლოვი ვარის ინდუსტრიულ სექციებს, გარდა ყოველწლიური Work in Progress პროგრამისა, ევრიმაჟთან თანამშრომლობით ახალი სექცია Eurimages Lab Project Award დაემატა, რომელზეც პროექტების მიღება დამოუკიდებლად მიმდინარეობს.

ბასკეთის აუდიოვიზუალურ ცენტრთან ერთად დაიგეგმა ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის სან-სებასტიანის კინოფესტივალის ფარგლებში სპეციალური ინდუსტრიული პლატფორმის მოწყობა. ასევე დაგეგმილია შეხვედრები ესპანელ პროდიუსერებთან.

CASH REBATE

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ნაღდი ფულის უკან დაბრუნების ანუ Cash Rebate-ის სისტემის ამოქმედებამ საქართველოში. დაინტერესებულთა შორის იყვნენ: ამერიკელი, ბრიტანელი და რუსი პროდიუსერები.

ამ თემას გავლენიანმა გამოცემამ Hollywood Reporter მიუძღვნა სტატია, რომელშიც საქართველო შვეიცარიასთან, უკრაინასთან და პორტუგალიასთან ერთად არის მოხსენიებული, როგორც გადასაღებად მიმზიდველი და ხელსაყრელი ახალი ლოკაცია.

CREATIVE EUROPE

ბერლინში ევროპული კინოს ბაზრობის ფარგლებში Creative Europe-ის ორგანიზებით გაიმართა სხვადასხვა ინდუსტრიული ღონისძიება.

ევროკომისიის წარმომადგენლებმა ეროვნული კინოცენტრის დირექტორთან ნანა ჯანელიძესთან შეხვედრისას განიხილეს, თუ რა გზით უნდა გახდეს საქართველო ევროკომისიის მხარდაჭერით Creative Europe MEDIA ქვეპროგრამის სრული წევრი.

ამჟამად, ქართული აუდიოვიზუალური სექტორის წარმომადგენლები სარგებლობენ MEDIA ქვეპროგრამის დაფინანსების მხოლოდ 4 სქემით (ფესტივალები, ტრენინგები, წვდომა ბაზრებზე და აუდიტორიის განვითარება).

სრული წევრობის შემთხვევაში კი შესაძლებელი იქნება დამატებით დაფინანსების 10 სქემაზე წვდომის მოპოვება. მათ შორისაა მხატვრული, ანიმაციური და დოკუმენტური ფილმების განვითარება, ფილმების დისტრიბუცია, ტელეპროგრამების შექმნა და კოპროდუქციის ფონდების მხარდაჭერა.

არსენალი და ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა

2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის მთავარი სტუმარი ქვეყანა საქართველოა. ამასთან დაკავშირებით 2017 წელი გერმანიამ ქართულ კულტურის წლად აღიარა.

ბერლინის კინოფესტივალის ფარგლებში შედგა შეხვედრა ცნობილი კინოთეატრის და ფონდსაცავის - არსენალის წარმომადგენელთან - გეზა კნოდელთან.

არსენალი 2017 წელს გეგმავს მისივე კინოთეკაში დაცული ქართული ფილმების რეტროსპექტივას - ნაჩვენები იქნება 60 ქართული კინონამუშევარი. დაიგეგმა ასევე არსენალის ფონდში დაცული ქართული ფილმების პოზიტივებიდან 3 ფილმის აღდგენა. თანხა ამ ფილმების რესტავრაციისთვის გერმანიის მთავრობამ გამოყო.

მოლაპარაკებებში ჩართულია საქართველოს საელჩო გერმანიაში და ეროვნული კინოცენტრი.

“მანდარინები” საუკეთესო ევროპულ ფილმად აღიარეს

ზაზა ურუშადის, ოსკარისა და ოქროს გლობუსის ნომინანტი ფილმი „მანდარინები“, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ჯილდოს მფლობელი გახდა.

31 იანვარს ბარსელონამ ტრადიციულად უმასპინძლა ესპანეთის ყველაზე გამორჩეულ დაჯილდოვების ცერემონიალს Gaudí Award, სადაც ჯილდო 22 განსხვავებულ კატეგორიაში გაიცა. გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდა ზაზა ურუშადის ნამუშევარი.

Gaudí Awards - ესპანეთში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდოა, რომელიც კატალონიის კინოაკადემიამ დააარსა და 2009 წლიდან გაიცემა. ჯილდოს სტატუეტის დიზაინი ავტორებმა ცნობილი ესპანელი არქიტექტორის, ანტონიო გაუდის შემოქმედების ინსპირაციით შექმნეს.



“სიმინდის კუნძულის” მორიგი ჯილდო რაბათის საერთაშორისო კინოფესტივალზე

“სიმინდის კუნძული” რაბათის საერთაშორისო კინოფესტივალზე დააჯილდოვეს. გიორგი ოვაშვილის ფილმი კინოფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამაში იღებდა მონაწილეობას. ფილმს ჟიურის სპეციალური პრიზი გადაეცა.

დაჯილდოვების ცერემონიალს “სიმინდის კუნძულის” რეჟისორი გიორგი ოვაშვილი და ფილმში მთავარი როლის შემსრულებელი - მარიამ ბუთურიშვილი ესწრებოდნენ.

რაბათის საერთაშორისო კინოფესტივალი მაროკოში 1994 წლიდან იმართება.

ქართველი რეჟისორების წარმატება სოფიას საერთაშორისო კინოფესტივალზე

10 - 20 მარტს ბულგარეთში სოფიას საერთაშორისო კინოფესტივალი გაიმართა, რომელიც ქართველი რეჟისორებისთვის წარმატებული აღმოჩნდა.

ვანო ბურდულის ფილმი “გაყინული შადრევნების წელიწადი”, რომელიც ფესტივალის საერთაშორისო კონკურსში იყო წარდგენილი, ჟიურის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.

ჯილდო გადაეცა კიდევ ერთ ქართველ რეჟისორს დეა კულუმბეგაშვილს. მან მთავარი პრიზი 5000

ევრო Sofia Meetings-ზე პროექტისთვის “დაისი” მიიღო.

სოფიას საერთაშორისო კინოფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კინოპლატფორმა რეგიონში.

კლერმონ ფერანის კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში 2 ქართული ფილმი მონაწილეობდა

5-13 თებერვალს საფრანგეთში კლერმონ ფერანის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა, რომლის საკონკურსო პროგრამაშიც 2 ქართული ფილმი მონაწილეობდა: თორნიკე ბზიავას “მექელეხე” და გიორგი თოდრიას “დაკარგული სოფელი”.



ალექსანდრე კვატაშიძის ფილმი “ჩეჩნეთის გზაჯვარედინი” HBO Europe Award - ის მფლობელი გახდა

ალექსანდრე კვატაშიძის ფილმი “ჩეჩნეთის გზაჯვარედინი” HBO Europe Award - ის მფლობელი გახდა. ჯილდო კოპროდუქციის ფორუმზე When East Meets West გაიცემა.

Last Stop Trieste (LST), სადაც ალექსანდრე კვატაშიძის ფილმი იღებდა მონაწილეობას, დოკუმენტური პროექტების სექციაა. “ჩეჩნეთის გზაჯვარედინი” ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია. ფილმი საქართველოს, ესტონეთის, საფრანგეთისა და გერმანიის კოპროდუქციაა.

ფილმი “ყარასტანში დაკარგული” NATIONAL FILM AWARDS 2016-ის ნომინანტია

ფილმი “ყარასტანში დაკარგული” National Film Awards 2016-ის ნომინანტია. ღონისძიებას ლონდონის კინოაკადემია აწყობს და იგი ლონდონში 2016 წლის 31 მარტს გაიმართა. “ყარასტანში დაკარგული” საუკეთესო კომედიის ნომინაციაში იყო წარდგენილი. გამარჯვება ამ ნომინაციაში ფილმმა “Man up” მოიპოვა.

“ყარასტანში დაკარგული” საქართველოს, დიდი ბრიტანეთის, რუსეთისა და გერმანიის კოპროდუქციაა. ფილმის რეჟისორი ბენ ჰოპკინსია, სცენარი კი მასთან ერთად პაველ პავლეკოვსკიმ შექმნა.

ფილმი შავი კომედიაა ერთ დროს ოსკარზე წარდგენილი, ხელმოცარული ამერიკელი რეჟისორის, ემილ მილერის შესახებ, რომელსაც განვითარებად კავკასიურ რესპუბლიკაში ეროვნული კინოეპოპეის შესაქმნელად იწვევენ.

მარიამ ხაჭვანის ფილმს “დინოლა” შანხაიში LONG WEEK OF SHORT FILMS FESTIVAL-ზე აჩვენებენ

მარიამ ხაჭვანის ფილმს “დინოლა” შანხაიში აჩვენებენ. ჩვენება Long Week Of Short Films Festival ფარგლებში შედგება.

2015 წლის ნოემბერში “დინოლა” Eastern Neighbours Film Festival-ზე იღებდა მონაწილეობას. სწორედ ამ ფესტივალის პროგრამიდან შეირჩა 7 საუკეთესო ევროპული ფილმი შანხაისთვის.

“დინოლა” საკუთარი ნების წინააღმდეგ დანიშნული ქვრივის და სვანურ ტრადიციას შეწირული დედაშვილობის შესახებ მოგვითხრობს.

ფილმი ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია, რომელმაც მთავარი ჯილდოები 17 საერთაშორისო კინოფესტივალზე მოიპოვა და პირველი მოკლემეტრაჟიანი ქართული ფილმი გახდა, რომელიც ევროპის კინოაკადემიამ შეარჩია.



დათა ფირცხალავას ფილმი “მამა” PREMIERS PLANS FILM FESTIVAL-ის საკონკურსო პროგრამაში

დათა ფირცხალავას ფილმი “მამა” Premiers Plans Film Festival-ზე წარდგა. იგი კინოფესტივალის ევროპული მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო სექციაში მონაწილეობდა.

დათა ფირცხალავასთვის, როგორც რეჟისორისთვის, ფილმი “მამა” სადებიუტო ნამუშევარია, რომელიც ეროვნული კინოცენტრისა და თიბისი ბანკის მხარდაჭერით შეიქმნა.



“მამა”

შორენა თევზაძის პროექტი “დიდუბე, ბოლო გაჩერება” ნიონის საერთაშორისო კინოფესტივალმა 4 საერთაშორისო პროექტს შორის შეარჩია

შორენა თევზაძის პროექტი “დიდუბე, ბოლო გაჩერება” ნიონის კრეატიული დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალმა Visions du Réel 4 საერთაშორისო პროექტს შორის შეარჩია. პროექტი Rough Cut Lab-ზე წარდგება.

Rough Cut Lab ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებს კინოექსპერტებთან მუშაობის საშუალებას აძლევს, რათა მათ საკუთარი ფილმები, რომლებიც წარმოების ბოლო ეტაპზე არიან, წარმატებით დაასრულონ.

ნიონის კრეატიული დოკუმენტური ფილმების ფესტივალის ფოკუსში შარშან საქართველო მოხვდა და ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც 21-ე საუკუნის ქართული დოკუმენტური კინოს რეტროსპექტივა ასე ფართოდ, საერთაშორისო მასშტაბით გაიმართა.

წელს ფესტივალი 15 - 23 აპრილს ჩატარდება.

“მანდარინები” იტალიის კინოთეატრებში გამოდის

რომის კინოს სახლში (Casa del Cinema) ოსკარის ნომინანტი ფილმის “მანდარინები” ჩვენება გაიმართა, რომელსაც ფილმის რეჟისორი ზაზა ურუშაძეც დაესწრო.

“მანდარინები” იტალიის კინოთეატრებში მაისის თვიდან გამოვა.

სალომე ჯაშის ახალი დოკუმენტური ფილმის პრემიერა შვეიცარიაში, ნიონის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგება

სალომე ჯაშის ახალი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის “დაისის მიზიდულობა” (THE DAZZLING LIGHT OF SUNSET) პრემიერა შვეიცარიაში, ნიონის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგება.

ფილმი კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაშია წარდგენილი.

“დაისის მიზიდულობა” საქართველოს და გერმანიის კოპროდუქციაა. იგი რეგიონული სატელევიზიო არხის საშუალებით ერთი პატარა ქალაქის შესახებ მოგვითხრობს, სადაც რიტუალები და ტრადიციები, ნორმები და დოგმები ცხოვრების წესს განსაზღვრავს და სადაც თანამედროვე მსოფლიოს ანარეკლიც იჭრება.

თომა ჩაგელიშვილის ახალი დოკუმენტური ფილმის პრემიერა ONE WORLD FILM FESTIVAL-ზე შედგება

თომა ჩაგელიშვილის ახალი დოკუმენტური ფილმის “მე არ გადავკვეთე საზღვარი, საზღვარმა გადამკვეთა მე” პრემიერა პრაღაში, One World Film Festival-ზე შედგება.

ფილმი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდგომ პერიოდს ასახავს და შიდა ქართლში რუსი სამხედროების მიერ გავლელულ გამყოფ ხაზთან მცხოვრებ ადამიანებზე გვიყვება.

ჩეხეთის შემდეგ ფილმი რამდენიმე საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიგზავნება.

ამჟამად მზადდება ფილმის სატელევიზიო ვერსიაც, რომლის ჩვენებაც ევროპულ ტელეარხებზე იგეგმება.

“მე არ გადავკვეთე საზღვარი, საზღვარმა გადამკვეთა მე” ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია, რომელზე მუშაობაც 2 წლის მანძილზე გრძელდებოდა.



თინათინ ყაჯრიშვილის ფილმი “პატარძლები” შვეიცარიის კინოთეატრებში

თინათინ ყაჯრიშვილის ფილმს “პატარძლები” შვეიცარიის კინოთეატრებში ნახავენ. ფილმის წარსადგენად რეჟისორი თინათინ ყაჯრიშვილი და პროდიუსერი ლაშა ხალვაში ჟენევისა და ლოზანაში მიიწვიეს.

“პატარძლები” ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია, რომელიც 2014 წელს შეიქმნა და მას შემდეგ 20-ამდე კინოფესტივალზე არაერთი მნიშვნელოვანი ჯილდო მოიპოვა.

ფილმს “როცა დედამიწა მსუბუქია” გერმანიისა და სლოვენიის ტელევიზიები აჩვენებენ

ფილმს “როცა დედამიწა მსუბუქია” გერმანიისა და სლოვენიის ტელევიზიები აჩვენებენ.

ტელევიზიებმა 3.Sat (გერმანია) და RTS (სლოვენია) სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის “როცა დედამიწა მსუბუქია” ჩვენების უფლებები უკვე შეიძინეს.

სალომე მაჩაიძის, თამუნა ქარუმიძისა და დავით მესხის ფილმი “როცა დედამიწა მსუბუქია” ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა.

ფილმი უკვე გახდა IDFA 2015 First Appearance Award-ისა და თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო ქართული დოკუმენტური ფილმის პრიზის მფლობელი.

“როცა დედამიწა მსუბუქია” 12 საერთაშორისო კინოფესტივალზეა მიწვეული, ამჟამად კი ფილმის ჩვენება თურქეთში, სტამბულის დამოუკიდებელი კინოს მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალზე მიმდინარეობს.



პარიზში თორნიკე ბზიავას 3 ფილმის ჩვენება შედგა

პარიზში თორნიკე ბზიავას 3 ფილმის ჩვენება შედგა. რეჟისორის ნამუშევრები “მექელეხე”, “ბუდე” და “აპრილის სუსხი” კინოთეატრში “Christine 21” აჩვენეს.

ჩვენებას პროდიუსერები, მწერლები, მსახიობები, კრიტიკოსები და პრესის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ქართული ფილმებით შანხაის მუნიციპალიტეტის კულტურის ადმინისტრაცია დაინტერესდა

ეროვნულმა კინოცენტრმა შანხაის მუნიციპალიტეტის კულტურის ადმინისტრაციას უმასპინძლა, რომელიც კინოს, ტელევიზიასა და რადიოს აერთიანებს. ადმინისტრაციის წევრები, ასევე წარმოადგენენ შანხაის ა-კლასის საერთაშორისო კინოფესტივალს.

სტუმრების ინტერესიდან გამომდინარე იგეგმება ქართული ფილმების წარდგენა შანხაის კინოფესტივალის სხვადასხვა სექციაში, ასევე ჩინეთის ტერიტორიაზე ქართული ფილმების დისტრუბუციის მხარდაჭერა.

ჩინეთი კინოგაქირავების კუთხით ბოლო პერიოდში ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანა გახდა, რომლის ბაზრის მოცულობა 15 მილიარდ დოლარს აღწევს.



ცნობილმა რეჟისორმა ნინო კირთაძემ გერმანელ კოლეგასთან ერთად ქართველი დოკუმენტალისტებისთვის ვორქშოპები ჩაატარა

ცნობილი ქართველი რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი ნინო კირთაძე, რომელიც 1997 წლიდან საფრანგეთში მოღვაწეობს, საქართველოში ეროვნული კინოცენტრის მოწვევით ჩამოვიდა.

ნინო კირთაძემ გერმანელ კოლეგასთან, შტეფან ტოლცთან ერთად, 25-29 იანვარს ვორქშოპები ჩაატარა.

ვორქშოპებს ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსის (კრეატიული დოკუმენტური ფილმების პროექტის განვითარების კონკურსი) გამარჯვებული პროექტების ავტორები დაესწრნენ და ნინო კირთაძესა და შტეფან ტოლცთან ერთად საკუთარი პროექტების განვითარებაზე იმუშავეს.

23-24 მარტს ეროვნულ კინოცენტრში ჩაატარა, რომელიც პროექტის ავტორებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს გულისხმობდა.

წარმატებული სამუშაო შეხვედრების შემდეგ ჯგუფის წევრებმა ეროვნულ კინოცენტრში თავიანთი პროექტები წარადგინეს და სიმბოლური პრიზებიც დაიმსახურეს.

საუკეთესო პროექტის პრიზი ერგო ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილს, პროექტისთვის “ცხოვრება მშვენიერია”, ხოლო Special Mention (ჟიურის სპეციალური აღნიშვნა) ნინო ქოიავა-შარაშენიძეს და თათია ახალშენაშვილს პროექტისთვის “თაობა”.



ცნობილი ბერძენი მწერლის და სცენარის ავტორის ვორქშოპი

ცნობილმა ბერძენმა მწერალმა და სცენარის ავტორმა ნიკოს პანაიოტოპულოსმა ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის ვორქშოპი სკაიპის მეშვეობით ჩაატარა.

სკაიპ სესიები ვორქშოპის პირველი ეტაპია, რომელიც ეროვნული კინოცენტრი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების კონკურსის გამარჯვებული პროექტების ავტორებისთვის მოაწყო.

ნიკოს პანაიოტოპულოსმა ვორქშოპის მონაწილეებს მისი რეკომენდაციები გააცნო და მათთან სამომავლო თანამშრომლობა დაგეგმა.



სცენარის კონსულტანტის კრისტიან რუთის ვორქშოპი

სცენარის კონსულტანტი კრისტიან რუთი საქართველოში ეროვნული კინოცენტრის მოწვევით ჩამოვიდა. მან ვორქშოპის მეორე ეტაპი 1-3 თებერვალს ჩაატარა. მესამე ეტაპი კი ონლაინ, სკაიპ სესიების სახით 28-29 მარტს გაიმართა.

ვორქშოპებს ეროვნული კინოცენტრის კომედიური და საბავშვო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების კონკურსის გამარჯვებული პროექტების ავტორები დაესწრნენ.

კრისტიან რუთი ამჟამად კატალონიაში, ესპანეთში მოღვაწეობს და მუშაობს სცენარებზე ისეთ რეჟისორებთან როგორებიც არიან : პიტერ ვებერი (“იმპერატორი”), იასმილა ზბანიკი (“სიყვარულის კუნძული”) და სალი პოტერი (“ჯინჯერი და როზა”).

“თავისუფალი ხალხის კინო” - თბილისში უკრაინული კინოს დღეებს უმასპინძლა

16-20 მარტს თბილისში უკრაინული კინოს დღეები გაიმართა. სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის საქართველოში ოდესის კინოფესტივალის ხელმძღვანელი იულია სინკევიჩი და უკრაინის სახელმწიფო კინოცენტრის ხელმძღვანელი ფილიპ ილიენკო ჩამოვიდნენ.

უკრაინული კინოს დღეები მოიცავდა როგორც კინოჩვენებებს, ასევე ინდუსტრიულ შეხვედრებს.

16 მარტს ეროვნულ კინოცენტრში მოეწყო პანელ დისკუსია, სადაც უკრაინული დელეგაცია და ქართული კინოსექტორის წარმომადგენლები კინოსფეროში თანამშრომლობის პერსპექტივებს განიხილავდნენ.

ფესტივალის კინოთეატრ “ამირანში” სერგო ფარაჯანოვის ფილმით “მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები” გაიხსნა.

ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ეროვნული კინოცენტრი, უკრაინის სახელმწიფო კინოცენტრი და უკრაინის საელჩო საქართველოში.



ეროვნული კინოცენტრი საკონკურსო განაცხადების მიღების ელექტრონულ სისტემაზე გადადის

ეროვნული კინოცენტრი საკონკურსო განაცხადების მიღების ელექტრონულ სისტემაზე გადადის.

უახლოეს პერიოდში კინოცენტრი გამოაცხადებს მოკლემეტრაჟიანი მხატვრული და მოკლე ან სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების წარმოების დაფინანსების კონკურსებს.

სწორედ ამ კონკურსების მსვლელობისას კინემატოგრაფისტებს პირველად მიეცემათ საშუალება გააკეთონ საკონკურსო განაცხადი ელექტრონულად, კინოცენტრის ვებგვერდზე რეგისტრაციისა და ავტორიზაციის საშუალებით.

პროგრამის მუშაობის სატესტო რეჟიმიდან გამომდინარე, კონკურსანტებმა საკონკურსო დოკუმენტაციის ერთი ეგზემპლარი მაინც უნდა წარმოადგინონ კინოცენტრში.

დაინტერესებული პირებისთვის საკონკურსო განაცხადების მიღების ახალი სისტემის პრეზენტაცია ეროვნულ კინოცენტრში 22 და 30 მარტს გაიმართა.

ასევე იგეგმება პროგრამის ონლაინ გაიდის განთავსება კინოცენტრის ვებ გვერდზე

www.gnfc.ge



ნანა ჯანელიძე კინოს უბრუნდება

25 მარტს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ნანა ჯანელიძემ ეროვნული კინოცენტრის დირექტორის რანგში ბოლოჯერ შეაფასა კინოცენტრის საქმიანობა. მან თანამდებობაზე ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ წასვლა და საკუთარ პროფესიაში დაბრუნება გადაწყვიტა. შეხვედრას კინემატოგრაფისტები ესწრებოდნენ.

ნანა ჯანელიძეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ სამწლიანი ნაყოფიერი მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

კინოცენტრის ახალი დირექტორის ვინაობა უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი, მანამდე კი დირექტორის მოვალეობას ნანა ჯანელიძის მოადგილე ნინო კუხალაშვილი ასრულებს.

www.gnfc.ge



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge